

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

აგვისტო 2021
თბილისი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2. შედგენის საფუძველი	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	10
4. ძირითადი საშუალებები	17
5. აქტივების გამოყენების უფლება	18
6. არამატერიალური აქტივები	18
7. მარაგები	19
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	19
10. კაპიტალი და რეზერვები	19
11. სესხები	20
12. იჯარა	20
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
15. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი	22
16. ადმინისტრაციული ხარჯები	22
17. ფინანსური ხარჯები	22
18. ზარალი საკურსო სხვაობიდან	22
19. შემდგომი მოვლენები	22
20. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები	22
21. ფინანსური ინსტრუმენტები	23
22. ფინანსური რისკის მართვა	24
23. რეალური ღირებულების შეფასება	27
24. კაპიტალის რისკის მართვა	27
25. გაუთვალისწინებელი გარემოებები	28
26. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	29
27. დაკავშირებული მხარეები	29
28. წინა პერიოდის კორექტირება	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კორიდას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კორიდას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქცევის გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი
შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით
თბილისი, საქართველო

2021 წლის 10 აგვისტო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კორიდას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კორიდას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქმედების გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვაძლევს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი
შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით
თბილისი, საქართველო

2021 წლის 10 აგვისტო



შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

	მენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,195	8,190
აქტივების გამოყენების უფლება	5	152	-
არამატერიალური აქტივები	6	165	194
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		8,512	8,384
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	2,843	3,019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,019	3,847
გადახდილი ავანსები	8	24	-
სხვა მიმდინარე აქტივები		99	319
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	144	101
მიმდინარე აქტივების ჯამი		6,129	7,286
სულ აქტივები		14,641	15,670
კაპიტალი და რეზერვები	10		
საწესდებო კაპიტალი		2,150	2,150
გადაფასების რეზერვი		1,453	1,367
აკუმულირებული მოგება/ზარალი		3,177	3,928
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		6,780	7,445
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	4,427	4,100
გრძელვადიანი იჯარა	12	127	-
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		4,554	4,100
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,522	2,619
სესხები	11	1,750	1,498
მიმდინარე მოგების გადასახადი		6	8
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი	12	29	-
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		3,307	4,125
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი		14,641	15,670

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

რევაზ ნარმანია

გიორგი თოხაძე

მთავარი აღმასრულებელი პირი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-31 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,195	8,190
აქტივების გამოყენების უფლება	5	152	-
არამატერიალური აქტივები	6	165	194
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		8,512	8,384
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	2,843	3,019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,019	3,847
გადახდილი ავანსები	8	24	-
სხვა მიმდინარე აქტივები		99	319
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	144	101
მიმდინარე აქტივების ჯამი		6,129	7,286
სულ აქტივები		14,641	15,670
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10	2,150	2,150
გადაფასების რეზერვი		1,453	1,367
აკუმულირებული მოგება/ზარალი		3,177	3,928
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		6,780	7,445
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	4,427	4,100
გრძელვადიანი იჯარა	12	127	-
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		4,554	4,100
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,522	2,619
სესხები	11	1,750	1,498
მიმდინარე მოგების გადასახადი		6	8
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი	12	29	-
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		3,307	4,125
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი		14,641	15,670

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

რევაზ ნარმანია

გიორგი თოხაძე

მთავარი აღმასრულებელი პირი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-31 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენ.	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან		47,168	43,475
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(37,968)	(33,961)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		9,200	9,514
სხვა შემოსავალი		17	49
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(3,880)	(3,854)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,052)	(1,955)
სხვა ხარჯები		-	-
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		3,285	3,754
ფინანსური ხარჯები	17	(515)	(426)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	18	(848)	(312)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		309	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(34)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,197	3,016
მოგების გადასახადი		(63)	(64)
წლის მოგება/(ზარალი)		2,134	2,952
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი		86	275
მთლიანი სრული შემოსავალი		2,220	3,227

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

რევაზ ნარმანია

გიორგი თოხაძე

მთავარი აღმასრულებელი პირი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-31 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


	შენ.	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან		47,168	43,475
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(37,968)	(33,961)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		9,200	9,514
სხვა შემოსავალი		17	49
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(3,880)	(3,854)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,052)	(1,955)
სხვა ხარჯები		-	-
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		3,285	3,754
ფინანსური ხარჯები	17	(515)	(426)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	18	(848)	(312)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		309	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(34)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,197	3,016
მოგების გადასახადი		(63)	(64)
წლის მოგება/(ზარალი)		2,134	2,952
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი		86	275
მთლიანი სრული შემოსავალი		2,220	3,227

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

რევაზ ნარმანია



გიორგი თოხაძე



მთავარი აღმასრულებელი პირი



აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-31 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2019 წლის 1 იანვარი	2 150	1 092	3 156	6 398
წლის მოგება			2 952	2 952
სხვა სრული შემოსავალი		275		275
მთლიანი სრული შემოსავალი	-	275	2 952	3 227
დივიდენდები			(2 180)	(2 180)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(2 180)	(2 180)
2019 წლის 31 დეკემბერი	2 150	1 367	3 928	7 445
წლის მოგება			2 134	2 134
სხვა სრული შემოსავალი		86		86
მთლიანი სრული შემოსავალი	-	86	2 134	2 220
დივიდენდები			(2 885)	(2 885)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(2 885)	(2 885)
2020 წლის 31 დეკემბერი	2 150	1 453	3 177	6 780

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-31 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 წელი	2019 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		2,134	2 952
კორექტირებები:			-
ცვეთა და ამორტიზაცია		1,329	1 260
მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვები		34	-
ფინანსური ხარჯი	17	515	426
მოგების გადასახადის ხარჯი		63	64
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(7)	(5)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		3	-
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	18	848	312
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		4,919	5 009
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		792	(1 755)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		175	(549)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		196	245
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,099)	276
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		4,984	3 226
გადახდილი პროცენტი	26	(512)	(391)
გადახდილი მოგების გადასახადი		(63)	(63)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		4 409	2 772
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1 197)	(2 334)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		24	26
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(1 173)	(2 308)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში		-	-
სესხებიდან მიღებული ფული	26	29 983	24 502
სესხებზე გადახდილი ფული	26	(30 241)	(22 744)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული	26	(16)	-
დივიდენდები		(2 885)	(2 180)
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო (საქმიანობაში)/საქმიანობიდან		(3 159)	(422)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა/(შემცირება)			
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე		77	42
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში		(34)	(33)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		101	92
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		144	101

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-31 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს კორიდა (შემდგომში “კომპანია” - ყოფილი შპს ნიკორა 7) დაარსდა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დაარსების დღიდან კომპანია აწარმოებს ხორცპროდუქტებს და ეწევა მათ დისტრიბუციას. კომპანია ადგილობრივ ბაზარზე ყიდის საკუთარ წარმოებულ და სხვა პროდუქციას. კომპანიის მთავარი რეგისტრაციის ადგილია საქართველო, ქალაქი ფოთი, მე-7 კილომეტრი. მისი დირექტორია რევაზ ნარმანია. საქართველოში წარმოდგენილი და რეგისტრირებული კომპანია სს ნიკორა არის შპს კორიდას 100%-ის მფლობელი და მაკონტროლებელი მხარე. სს ნიკორას გენერალური დირექტორი არის ირაკლი ბოქოლიშვილი. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 363 (2019: 360 თანამშრომელი).

2. შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააქეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-20 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის, თუმცა ცვლილებებმა არსებითი გავლენა არ იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

- შესწორებები ფასს (IFRS) 16-ში „უარყოფითი კომპენსაციის მქონე ვადამდელი დაფარვის ელემენტები იჯარის ხელშეკრულებებთან მიმართებაში, COVID-19-ის აფეთქებასთან დაკავშირებით“;
- შესწორებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „არსებითობის განსაზღვრება“;
- შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში: „ბიზნესის განსაზღვრება“;
- შესწორებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-სა და ბასს (IAS) 39-ში: „საბაზო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა“;
- 2018 წლის 29 მარტს გამოქვეყნებული შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე მითითებებში.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში);
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები.

კომპანიამ გადაწყვიტა, ეს სტანდარტები არ მიეღო ნაადრევად.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 4.0233 ლარს. (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და ერთი ევრო 3.2095 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.2 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოებისა და ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიზშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვიდან გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება მაშინ, თუ ძირითადი საშუალება გაიყიდა ან სხვა ფორმით შეწყდა მისი აღიარება. სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოების მიზნებისთვის, მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასარგებლოს მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. კლიენტის საადრიცხო პოლიტიკა ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადახედვას ყოველი წლის ბოლოს. 2020 წლისთვის ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	6 წელი

ვინაიდან მიწის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას წრფივი მეთოდით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც განსაზღვრულია 7 წლით პროგრამების, უფლებებისა და სხვა აქტივებისთვის. ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადაფასება.

3.4 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა 2.5-ში, კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

საადრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისათვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას უფლება განსაზღვროს აქტივის გამოყენების წესი. განსაზღვროს აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მთლიანი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივებისთვის, გამოყენების უფლებით, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით.

შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები. საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე. კომპანიამ გადაწყვიტა აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა პრაქტიკული ექსპედიციის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარმოდგენილია ცალკე.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება გაწეულ ხარჯებად.

3.6 მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელმეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია). აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 21.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ბონდები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები. ამ კატეგორიაში, აქტივები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით შემოსავლებთან და დანაკარგებთან ერთად, რომლებიც ხვდებიან მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებები, ამ კატეგორიაში, განსაზღვრულია აქტიური ბაზრის მონაცემებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, როცა აქტიური ბაზარი არ არსებობს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1),
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს. კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით, ასევე ინდივიდუალური დებიტორის შეფასების მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 8.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 21-ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზირებადი ღირებულებით.

3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზირებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლების კონტრიბუცია იყო კომპანიაში. აკუმულირებული მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას და ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებასა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

ბონუსები

მოსალოდნელი ბონუსის ხარჯები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გააკეთოს ასეთი გადახდები წარსული მოვლენების შედეგად და როდესაც შესაძლებელია ამ ვალდებულის საიმედო შეფასება. მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას გადახდის გარდა არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

3.13 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება. შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი წარმოება	სხვა	სულ
<i>გადაფასებული ღირებულება</i>									
2019 წლის 1 იანვარი	87	2 693	6 890	1 183	1	1 280	-	18	12 152
შემოსვლა	40	112	1 770	44	-	341	7	20	2 334
გასვლა	-	-	(1)	(4)	-	(69)	-	-	(74)
შიდა მოძრაობა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების ნამეტი	26	(14)	-	-	-	-	-	-	12
2019 წლის 31 დეკემბერი	153	2 791	8 659	1 223	1	1 552	7	38	14 424
შემოსვლა	66	-	555	192	6	131	244	5	1 197
გასვლა	-	-	(9)	(9)	(29)	(104)	-	-	(151)
შიდა მოძრაობა	7	15	28	(43)	33	(1)	(228)	189	-
გადაფასების ნამეტი	50	(104)	-	-	-	-	-	-	(54)
2020 წლის 31 დეკემბერი	276	2 702	9 232	1 363	11	1 578	23	232	15 417
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>									
2019 წლის 1 იანვარი	-	(131)	(3 858)	(736)	-	(583)	-	(14)	(5 322)
წლის ცვეთა	-	(132)	(817)	(82)	-	(180)	-	(14)	(1 225)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	3	-	47	-	-	50
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	263	-	-	-	-	-	-	263
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(4 675)	(815)	-	(716)	-	(28)	(6 234)
წლის ცვეთა	-	(140)	(699)	(82)	(31)	(216)	-	(126)	(1 294)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	10	8	23	124	-	1	166
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	140	-	-	-	-	-	-	140
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(5 364)	(889)	(8)	(808)	-	(153)	(7 222)
<i>საბალანსო ღირებულება</i>									
2019 წლის 31 დეკემბერი	153	2 791	3 984	408	1	836	7	10	8 190
2020 წლის 31 დეკემბერი	276	2 702	3 868	474	3	770	23	79	8 195

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

კომპანიის 8,195 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფისთვის. (2019 წლის 31 დეკემბერი: 8,190 ათასი ლარი). კომპანიის მიწის ნაკვეთები და შენობები კომპანიამ შეაფასა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. გადაფასების ნამეტი აღიარებულია გადაფასების რეზერვის მუხლში. მიწა და შენობები წარმოდგენილი რომ ყოფილიყო ისტორიული ღირებულებით, მათი საბალანსო ღირებულება ანგარიშგების თარიღისთვის იქნებოდა 1,525 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლისთვის 1,577 ათასი ლარი. ცვეთის დარიცხული ხარჯი განაწილებულ იქნა რეალიზებული საქონლის თვითღირებულებასა (შენიშვნა 14) და ადმინისტრაციულ ხარჯებში (შენიშვნა 16).

5. აქტივების გამოყენების უფლება

	შენობები	სულ
<i>თვითღირებულება</i>		
2020 1 იანვარი		
შემოსვლა	172	172
2020 წლის 31 დეკემბერი	172	172
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2020 წლის 1 იანვარი		
წლის ცვეთა	20	20
2020 წლის 31 დეკემბერი	20	20
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2020 წლის 1 იანვარი	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	152	152

ცვეთის ხარჯის დარიცხვა მოხდა ადმინისტრაციულ ხარჯებში (შენიშვნა 16).

იჯარით აღებული აქტივი მოიცავს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე სრულად განთავსებული სასაწყობო შენობა-ნაგებობა 5 წლამდე იჯარის უფლებით.

6. არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული პროგრამები	უფლებები	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2019 წლის 1 იანვარი	138	166	304
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	138	166	304
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	138	166	304
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
2019 წლის 1 იანვარი	(59)	(16)	(75)
წლის ამორტიზაცია	(14)	(21)	(35)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	(73)	(37)	(110)
წლის ამორტიზაცია	(11)	(18)	(29)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	(84)	(55)	(139)
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2019 წლის 31 დეკემბერი	65	129	194
2020 წლის 31 დეკემბერი	54	111	165

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

2020 და 2019 წლების განმავლობაში, ამორტიზაციის ხარჯები აისახა ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხ. შენიშვნა 16).

7. მარაგები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ნედლეული	1,584	1,930
მზა პროდუქცია	293	238
საქონელი	184	200
დაუმთავრებელი წარმოება	52	14
სხვა	730	637
	2,843	3,019

2020 წლის განმავლობაში ხარჯად აღიარდა 38,428 ათასი ლარის მარაგების თვითღირებულება (2019: 34,403 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 14). კომპანიის მფლობელობაში არსებული მთლიანი მარაგები გამოყენებულია ბანკში კომპანიის სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 11).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო მოთხოვნები	3,047	3,840
სხვა მოთხოვნები	6	7
	3,053	3,847
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(34)	-
	3,019	3,847

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 30-90 დღეს (2019: 30-90 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (იხ. შენიშვნა 11) კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში შეფასებულ იქნა გაუფასურებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შექმნა ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, ვინაიდან იდენტიფიცირდა გაუფასურების მაჩვენებელი, რაც ეჭვს იწვევდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში

9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფული ხელზე	7	7
საბანკო ანგარიშები	137	94
	144	101

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

10. კაპიტალი და რეზერვები

10.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 2,150 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 2,150 ათასი ლარი).

10.2 დივიდენდები

2020 წელს გამოცხადდა 2,885 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდი. 2019 წელს გამოცხადებული დივიდენდი შეადგენდა 2,180 ათას ლარს.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

10.3 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიშობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან. როდესაც გადაფასებული მიწა და შენობები იყიდება, წილი ამ აქტივთა გადაფასების რეზერვიდან, რომელიც რეალიზებულ იქნა, პირდაპირ გადადის აკუმულირებულ მოგება-ზარალზე.

11. სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,716	1,466	3,067	2,740
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან	34	32	1,360	1,360
	1,750	1 498	4,427	4,100

საბანკო სესხები არის 1-დან 6 წლამდე ვადიანობის და აქვთ საშუალოდ წლიური 10.08% (ფიქსირებულს დამატებული მცოცავი) განაკვეთი, მიბმული საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე და 6 თვიან EURIBOR-ის განაკვეთზე. (2019: საშუალო წლიური 9.14%). საბანკო სესხები აღებულია ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით. სესხებს უზრუნველყოფად უდევს კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები (იხ. შენიშვნა 4), მარაგები (იხ. შენიშვნა 7) და სავაჭრო მოთხოვნები (იხ. შენიშვნა 8). საბანკო სესხები უზრუნველყოფილია მშობელი და მისი სხვა შვილობილი კომპანიების უძრავი და მოძრავი ქონებით. საბანკო სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა. სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

12. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	29	-
გრძელვადიანი	127	-
	156	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია დაკავშირებული აქტივებით. მომავალი საიჯარო გადახდები უახლოეს პერიოდში, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	45	-
ფინანსური ხარჯები	(16)	-
	29	-
2-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	154	-
ფინანსური ხარჯები	(26)	-
	127	-
5 წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	-	-
ფინანსური ხარჯები	-	-
	156	-

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად. ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	13	11
მოკლევადიანი იჯარა	57	59
	70	70

ცვლადი საიჯარო გადახდები ხარჯად აღიარდება მათი გაწვევისთანავე. ზემოთ წარმოდგენილი ხარჯები არის დისტრიბუციისა და მარკეტინგის და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი.

ცხრილში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ მათი კლასების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	საბალანსო ღირებულება (იხ. შენიშვნა 5)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენობები	152	20	
	152	20	-

აქტივები გამოყენების უფლებით მიეკუთვნება იმავე ჯგუფის ელემენტებს, რომელშიც მათი შესაბამისი აქტივები იქნებოდნენ იმ შემთხვევაში თუკი კომპანია იქნებოდა მათი მფლობელი.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო ვალდებულებები	1 237	2 362
მიღებული ავანსები	15	
საგადასახადო ვალდებულებები	27	167
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	243	89
	1 522	2 619

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020 წელი	2019 წელი
პირდაპირი მასალები	(22,454)	(19,862)
გასაყიდი საქონლის შესყიდვის ფასი	(10,993)	(10,031)
თანამშრომელთა კომპენსაციის ხარჯი	(1,805)	(1,468)
ცვეთის ხარჯი	(914)	(860)
კომუნალური ხარჯი	(671)	(712)
დამატებითი მასალები	(540)	(445)
სხვა	(591)	(583)
	(37,968)	(33,961)

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

15. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი

	2020 წელი	2019 წელი
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	(2,379)	(2,287)
დისტრიბუციის ხარჯები	(571)	(661)
რემონტის ხარჯები	(177)	(158)
იჯარის ხარჯები	(55)	(59)
მარკეტინგის ხარჯები	(38)	(19)
სხვა	(660)	(670)
	<u>(3,880)</u>	<u>(3,854)</u>

16. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
მარაგების ჩამოწერის ზარალი	(672)	(784)
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	(575)	(493)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(415)	(398)
საოფისე ხარჯები	(95)	(46)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(88)	(64)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(73)	(62)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(10)	(3)
სხვა	(124)	(105)
	<u>(2,052)</u>	<u>(1,955)</u>

17. ფინანსური ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან	(170)	(124)
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	(334)	(302)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე	(11)	-
	<u>(515)</u>	<u>(426)</u>

18. ზარალი საკურსო სხვაობიდან

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	(13)	(33)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	(835)	(279)
	<u>(848)</u>	<u>(312)</u>

19. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.

20. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს

20.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანიის შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საადრიცხო შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობას შეფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. კლიენტი საკუთარი საადრიცხო პოლიტიკის თანახმად ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადახედვას ყოველწლიურად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს სასაქონლო მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ, ყველაზე სანდო მტკიცებულებაზე დაყრდნობით. მომავალში, ამ მარაგების რეალიზაციაზე გავლენა შეიძლება იქონიოს მომავლის ტექნოლოგიამ, ან სხვა ბაზრის მამოძრავებელთა ცვლილებებმა, რომელთაც შესაძლოა შეამცირონ მომავალი გასაყიდი ფასები.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები

მენეჯმენტმა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა

20.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიის (საკვები პროდუქტების წარმოება) სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. ხელმძღვანელობის აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება და მიწოდება არის ერთერთი ყველაზე ძირითადი და გადამწყვეტი ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი განაგრძობს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება მთავრობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს რომ საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე განაგრძობს საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

21. ფინანსური ინსტრუმენტები

21.1 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფინანსური აქტივები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 053	3 846
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	144	101
სულ ფინანსური აქტივები	3 197	3 947

ფინანსური ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	6 177	5 598
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 237	2 363
საიჯარო ვალდებულებები	156	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7 570	7 961

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა უცხოურ კომპანიებთან განხორციელებული გაყიდვებით და შესყიდვებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

	დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი		
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	3 855
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	24
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	3 879
წმინდა პოზიცია	-	(3 879)

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი		
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	3 233
სავაჭრო ვალდებულებები	-	2
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	3 235
წმინდა პოზიცია	-	(3 235)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 20%-იანი (2019: 20%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 20% (2019: 20%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 20%-იანი (2019: 20%) განაკვეთით. ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 20%-ით (2019: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათას ლარში	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2020	2019	2020	2019
მოგება/ზარალი	-	-	776	485

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით. შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2020	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები		
ლარი	12.5 %	12.92%
უზრუნველყოფილი სესხი		
ევრო	6.5%	6.8 %
ლარი	12%	14.29%

2019	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	12.42 %	12.59 %
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ევრო	7 %	6,85 %

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მხრიდან ხორციელდება საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით. საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებზე.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 053	3 847
საბანკო ანგარიშები	137	94
	3 190	3 941

ანგარიშგების თარიღისათვის არ არსებობდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე უმნიშვნელოა, ვინაიდან მხარეები რეპუტაციულ ბანკებს წარმოადგენენ.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2020	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		11.16%	8.7%	12.9%	
6 თვეზე ნაკლები	1 237	23	1 496	113	2 869
6 თვიდან 1 წლამდე		23	475	85	583
1-5 წლამდე		154	3 457	1 502	5 113
5 წელზე მეტი			-	-	-
	1 237	200	5 428	1 700	8 565

2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		-	-	9.14%	
6 თვეზე ნაკლები	2 365	-	-	1 389	3 754
6 თვიდან 1 წლამდე		-	-	423	423
1-5 წლამდე		-	-	4 431	4 431
5 წელზე მეტი		-	-	425	425
	2 365	-	-	6 668	9 033

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

23. რეალური ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კვოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კვოტირდება აქტიურ ბაზარზე;

დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კვოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების

დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კვოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები)

23.1 ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ აქვს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები. საბანკო სესხების საბალანსო ღირებულება ითვლება მის რეალურ ღირებულებასთან გონივრულად მიახლოებულ მაჩვენებლად

23.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება

კომპანიის მიწის ნაკვეთები და შენობები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. მათი შეფასებული რეალური ღირებულება ხდება კატეგორიების მე-3 საფეხურზე. ამ აქტივთა სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი, კვალიფიციური უძრავი ქონების შემფასებლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ საჭირო ლიცენზია. მნიშვნელოვანი მონაცემები და მოსაზრებები ჩამოყალიბებულია ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონსულტაციით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

აქტივები რეალური ღირებულებით	სულ	აქტიურ	მნიშვნელოვანი დაკვირვებადი მონაცემები(დონე 2)	მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემები (დონე 3)
		ბაზარზე კვოტირებული ფასები (დონე 1)		
მიწა	211			211
შენობები	2 702			2 702
	2 923			2 923

მიწის ნაკვეთები და შენობები ფლობილი ადმინისტრაციული მიზნებისთვის (დონე 3).

შეფასება ჩატარდა საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ოპერაციების ფასების შესწავლას მიმდინარე ბაზარზე არსებულ მსგავს ქონებაზე და აერთიანებს საკვლევ მიწის ნაკვეთებზე და შენობებზე არსებულ სპეციფიკური ფაქტორების კორექტირებებს, როგორებიცაა: ნაკვეთის ზომა, ადგილ-მდებარეობა, გირაოთი დატვირთულობა და გამოყენებითი დანიშნულება. მიწა შეფასდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელზე დაკვირვებაც ვერ ხდება, არის საკვლევი მიწის ნაკვეთების სპეციფიკური ფაქტორების კორექტირება. ამ კორექტირებების ზომა და მიმართულება დამოკიდებულია მსგავსი თვისებების მქონე საკვლევი საბაზრო ოპერაციების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია შესადარის ქონებებთან, რომლებიც შეფასების პროცედურის საწყისი წერტილია. ამასთანავე, რადგან აღნიშნული მონაცემი სუბიექტური მსჯელობის საგანია, ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა გონივრულად შესაძლო ალტერნატიულ შეფასებებს, არ ექნება არსებითი გავლენა მთლიანი შეფასების შედეგზე.

24. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებსაც ადექვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალის, აკუმულირებულ მოგებისა და სესხებისაგან, რომლებიც წარდგენილია შენიშვნა 10-ში.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს თავისი კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს მაღალი ლევერიჯი. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	6 780	7 445
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(144)	(101)
კაპიტალი	6 636	7 344
მთლიანი კაპიტალი	6 780	7 445
სესხები	6 177	5 598
საიჯარო ვალდებულებები	156	-
სრული ფინანსირება	13 113	13 043
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.51	0.56

25. გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტრალიზებული ეკონომიკური სტრუქტურა, რეგიონალური არასტაბილურობა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. კოვიდ-19-ის სწრაფმა გავრცელებამ არსებითი გავლენა იქონია მრავალი ქვეყნის ბიზნეს გარემოსა და ეკონომიკაზე, მათ შორის საქართველოზე. პანდემიის გამო იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ასევე, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დამვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

25.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფარგლებში დაზღვეულია მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობაც. კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

25.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ იგი ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

26. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2019 წლის 1 დეკემბერი	2 289	1 240	-	3 529
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>				
სესხის აღება	1 457	23 045	-	24 502
სესხის დაფარვა	(392)	(22 352)	-	(22 744)
გადახდილი პროცენტი	(219)	(172)	-	(391)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>				
დარიცხული პროცენტი	254	172	-	426
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	276	-	-	276
რეკლასიფიკაცია	435	(435)	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	4 100	1 498	-	5 598
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>				
სესხის აღება	142	29 841	171	30 155
სესხის დაფარვა	-	(30 240)	(15)	(30 255)
გადახდილი პროცენტი	-	(511)	(11)	(522)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>				
დარიცხული პროცენტი	-	514	11	525
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	672	161	-	833
რეკლასიფიკაცია	(488)	488	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	4 426	1 751	156	6 333

27. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მშობელი კომპანია, შვილობილები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

27.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას მართავს სს “ნიკორა”, რომელიც ფლობს მისი აქციების 100%-ს. კომპანიის უმსხვილეს აქციონერს წარმოადგენს ვასილ სუხიაშვილი, ვინც ჯგუფის აქციების 29%-ს ფლობს.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

27.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ბალანსები:

ტრანზაქციები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია და კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
საქონლის რეალიზაცია	24 845	25 172
მომსახურების გაწევა	768	286
მარაგებისა და ნედლეულის შესყიდვა	(20 349)	(19 028)
მომსახურების შეძენა	862	3 632
ძირითადი საშუალებების შეძენა	14	13
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	3	-
სესხების აღება	-	-
ბალანსები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია და კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	882	1 805
მიღებული სესხები	(1 394)	(1 360)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(560)	(836)

27.3 გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	175	163

28. წინა პერიოდის კორექტირება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა წინა პერიოდის შეცდომა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შეცდომები უკავშირდებოდა ხარჯების არასწორ კლასიფიკაციას, რომლებიც განსხვავდებოდა მათი ფუნქციებისგან. ქვემოთ მოცემულია კორექტირებების გამომწვევი საკითხების ჩამონათვალი:

- ა) რეტრო ბონუსის დანახარჯები, რომლებიც მიზნულია გაყიდვებზე, წარდგენილი იყო მარკეტინგის ხარჯად და არა შემოსავლის კორექტირებად;
- ბ) დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასები წარდგენილი იყო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სარგებელთან ერთად;
- გ) წარმოებაში გახარჯული ნედლეულის ხარჯი ადმინისტრაციულ დანახარჯებში იყო აღრიცხული;
- დ) წარმოებული პროდუქციის ნორმატიული დანაკარგი წარდგენილი იყო დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯებში წარმოებული საქონლის თვითღირებულების გაზრდის საწარმოო;
- ე) სხვადასხვა საოპერაციო ხარჯის გადანაწილება არ ემთხვეოდა მათ შინაარსსა და ფუნქციებს.

შპს „კორიდა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

წინა პერიოდის შესწორებებს არ ჰქონდა ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაზე და საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კორექტირების ეფექტს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	წარდგენილი		კორექტირება				შესწორებული
	31.12.2019	ა	ბ	გ	დ	ე	31.12.2019
შემოსავალი	47,588	(4,113)	-	-	-	-	43,475
რეალიზაციიდან							
რეალიზებული პროდუქციის	(33,749)	-	-	(69)	(143)	-	(33,961)
თვითღირებულება							
წმინდა საოპერაციო	13,839	(4,113)	-	(69)	(143)	-	9,514
შემოსავალი							
სხვა შემოსავალი	49	-	-	-	-	-	49
დისტრიბუციისა და	(5,630)	4,113	(2,211)	-	143	(269)	(3,854)
მარკეტინგის ხარჯები	(3,556)	-	2,211	69	-	(679)	(1,955)
ადმინისტრაციული ხარჯები	(875)	-	-	-	-	875	-
შედეგი საოპერაციო	3,827	-	-	-	-	(73)	3,754
საქმიანობიდან							
ფინანსური ხარჯები	(426)	-	-	-	-	-	(426)
მოგება/ზარალი საკურსო	(312)	-	-	-	-	-	(312)
სხვაობიდან							
სხვა არასაოპერაციო	-	-	-	-	-	-	-
შემოსავალი							
სხვა არასაოპერაციო	(73)	-	-	-	-	73	-
ხარჯები							
მოგება/(ზარალი)	3,016	-	-	-	-	-	3,016
დაბეგვრამდე							
მოგების გადასახადი	(64)	-	-	-	-	-	(64)
წლის მოგება/(ზარალი)	2,952	-	-	-	-	-	2,952
სხვა სრული შემოსავალი							
გადაფასების რეზერვი	275	-	-	-	-	-	275
მთლიანი სრული	3,227	-	-	-	-	-	3,227
შემოსავალი							

კომპანიის 2019 წლის მოგება დაბეგვრამდე დარჩა უცვლელი.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს „კორიდას“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გავცენოთ მმართველობით ანგარიშგებას და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე.

ჩვენი ვალდებულებაა არსებითი უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ამასთან, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობის ანგარიშის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშის გაცნობის შემდეგ და შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს;
- მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

გარიგების პარტნიორი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ დასკვნის გაცემისთვის საჭირო აუდიტორული პროცედურების შესრულებას, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 20 აგვისტო



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „კორიდა“



მმართველობის ანგარიშგება
2020 წელი

შინაარსი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	4
1.1.	შპს „კორიდას“ შესახებ მოკლედ.....	4
1.2.	კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია	5
1.3.	ბრენდების მიმოხილვა.....	5
1.4.	ძირითადი ბაზრები	6
1.5.	ბიზნესი და ოპერაციები.....	6
1.5.1.	ბიზნეს მოდელი	6
1.5.2.	განვითარების სტრატეგია	6
1.6.	ფინანსური ინფორმაცია.....	7
1.6.1.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა.....	10
1.6.2.	მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა.....	11
1.7.	ფინანსური რისკების მართვა	12
1.7.1.	საბაზრო რისკი	12
1.7.2.	საკრედიტო რისკი.....	13
1.7.3.	ლიკვიდურობის რისკი	14
1.7.4.	კაპიტალის რისკის მართვა.....	15

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორიდას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

რევაზ ნარმანია

დირექტორი

შპს „კორიდა“

2021 წლის 20 აგვისტო

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. შპს „კორიდას“ შესახებ მოკლედ

შპს „კორიდა“ დაარსდა 2006 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტების წარმოება. „კომპანია“ აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს და დელიკატესს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით „კომპანია“ აწარმოებს 100-მდე სახეობის ხორცპროდუქტს და 10-მდე სახეობის ნახევარფაბრიკატს, ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს, როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების პროდუქტებს.

შპს „კორიდა“ წარმოადგენს სს „ნიკორას“ შვილობილ კომპანიას; სს „ნიკორა“ ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგი (ჯგუფი), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას, აგრეთვე ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციისა და ღვინის საწარმოებს, კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ კომპანიებს.

შპს „კორიდა“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპანიას ჰოლდინგ ნიკორას შემადგენლობაში.

შპს კორიდა - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ლ)	2020	2019	ცვლ. (%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	47,168	43,475	8.49%
საერთო მოგება	9,200	9,514	-3.30%
წლის მოგება	2,134	2,952	-27.71%
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	2020	2019	ცვლ. (%)
სულ აქტივები	14,641	15,670	-6.57%
სულ ვალდებულებები	7,861	8,225	-4.43%
სულ კაპიტალი	6,780	7,445	-8.93%
ფინანსური მაჩვენებლები	2020	2019	ცვლ. (%)
საერთო მოგების მარჟა (%)	19.50%	21.88%	-10.88%
მოგების მარჟა (%)	4.52%	6.79%	-33.43%
უკუგება კაპიტალზე (%)	31.5%	39.7%	-20.62%
არაფინანსური მაჩვენებლები	2020	2019	ცვლ. (%)
დასაქმებულთა რაოდენობა	363	360	0.83%

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „კორიდა“ წარმოადგენს სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალ კომპანიას, რომელიც აწარმოებს ხორცპროდუქტებს „კორიდას“ და ნახევარფაბრიკატებს „მარდის“ ბრენდით. მზა პროდუქციის დღიური გამომუშავება საშუალოდ ხორცპროდუქტებში შეადგენს 21-22 ტონას, ხოლო ნახევარფაბრიკატების 1-2 ტონას.

პროდუქციის რეალიზაციას „კომპანია“ ახდენს როგორც ნიკორას ჰოლდინგში შემავალ კომპანიებზე, აგრეთვე გარე სავაჭრო ობიექტებში საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

შპს „კორიდას“ მიერ „კორიდას“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია ორიენტირებულია ხორცპროდუქტების საშუალოფასიან სეგმენტზე.

„კომპანია“ ფლობს ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატებს.

„კომპანია“ დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია პროდუქციის ასორტიმენტის ზრდისკენ და ბიზნესის განვითარებისკენ.

2020 წელს COVID-19 პანდემიად გამოცხადდა, მრავალი ბიზნეს სექტორი დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და მნიშვნელოვნად დაზარალდა. შპს „კორიდას“ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად ეფექტური აღმოჩნდა: ადმინისტრაციული დეპარტამენტის დისტანციური მუშაობით, ხოლო საწარმოში მუშაობისას ვირუსის პრევენციისთვის საჭირო ყველა წესის დაცვით კომპანიის წარმოებასა და გაყიდვებზე გავლენა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. მართალია, პანდემიის გამო შპს „კორიდას“ საოპერაციო ხარჯების ზრდამ თავის მხრივ გამოიწვია სარეალიზაციო ფასის ზრდა, თუმცა მთლიანობაში კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი COVID-19-ის გამო წარმოქმნილ რისკებს.

1.3. ბრენდების მიმოხილვა

შპს „კორიდა“, მისი მშობელი კომპანიის - სს „ნიკორას“ და აგრეთვე ჰოლდინგში შემავალი სხვა კომპანიების განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად იხვეწებოდა და უფრო მაღალ დონეზე ადიოდა, როგორც ზოგადად მართვა და ეფექტურობა, აგრეთვე წარმოების ხარისხიც. წლების განმავლობაში ხარისხის დონის, სწორი საფასო პოლიტიკის, ფართო არჩევანისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებების შედეგად შპს „კორიდას“ მიერ „კორიდას“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია მაღალი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში და თავად ბრენდი „კორიდაც“ იქცა ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სავაჭრო ნიშნად.

„კომპანიის“ პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



წარმოების ძირითადი წილი კორიდას ბრენდით წარმოებულ ხორცპროდუქტებზე მოდის, მათ შორის: ნახევრად-შებოლილი და მოხარშული ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.

ნახევარფაბრიკატები: ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციულ კერძები (ხინკალი, პელმენი, ბლინი, და სხვა პროდუქცია).

1.4. ძირითადი ბაზრები

შპს „კორიდასთვის“ ხორცპროდუქტების წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს, რომლითაც ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უკავია. ასევე ვაწარმოებთ ნახევარფაბრიკატებს და ვცდილობთ მნიშვნელოვანი წილი დავიკავოთ ადგილობრივ ბაზარზე.

1.5. ბიზნესი და ოპერაციები

1.5.1. ბიზნეს მოდელი

შპს „კორიდას“ პროდუქციის ბაზარს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორია, საქართველოს ბაზარზე პროდუქციის მიწოდება ნაწილობრივ ხორციელდება სს „ნიკორას“ შვილობილი კომპანიების მეშვეობით: სს „ნიკორა ტრეიდი“ ახდენს პროდუქციის რეალიზაციას ნიკორას საფირმო მაღაზიებში, ხოლო შპს „პარტნიორი“ გარე საცალო ქსელში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, „კორიდას“ პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მისივე საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

ნედლეულის შეძენას „კომპანია“ ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზარზე. მომწოდებლები არიან როგორც ადგილობრივი ქართული, ასევე საერთაშორისო კომპანიები.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს, რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის, რათა მიღწეულ იქნას საუკეთესო საბაზრო ფასი.

ადგილობრივი პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

1.5.2. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში „კომპანია“ გეგმავს ასორტიმენტის გაფართოებას, ახალი პროდუქტების დამატებას, როგორც ხორცპროდუქტების ასევე ნახევარფაბრიკატების მიმართულებით. ამასთან, „ნიკორა ტრეიდის“ მიერ საფირმო მაღაზიების გაფართოების შედეგად იზრდება წარმოებული პროდუქციაზე მოთხოვნა, შესაბამისად „კომპანია“ გეგმავს წარმოების გაფართოებას, რათა უზრუნველყოს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

1.6. ფინანსური ინფორმაცია

შპს „კორიდამ“ 2017 წელს პირველად წარადგინა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდიტირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა დამოუკიდებელი პროფესიონალური მომსახურების ფირმების გლობალური ქსელის „რასელ ბედფორდ ინტერნეშენალის“ წევრმა კომპანიამ - შპს „რასელ ბედფორდ ეივისიმ“.

შპს „კორიდას“ ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8,195	8,190
აქტივების გამოყენების უფლება	152	-
არამატერიალური აქტივები	165	194
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	8,512	8,384
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	2,843	3,019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,019	3,847
გადახდილი ავანსები	24	-
სხვა მიმდინარე აქტივები	99	319
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	144	101
მიმდინარე აქტივების ჯამი	6,129	7,286
სულ აქტივები	14,641	15,670
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	2,150	2,150
გადაფასების რეზერვი	1,453	1,367
აკუმულირებული მოგება/ზარალი	3,177	3,928
კაპიტალის და რეზერვების ჯამი	6,780	7,445
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	4,427	4,100
გრძელვადიანი იჯარა	127	-
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი	4,554	4,100
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,522	2,619
სესხები	1,750	1,498
მიმდინარე მოგების გადასახადი	6	8
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი	29	0
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი	3,307	4,125
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი	14,641	15,670

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	47,168	43,475
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(37,968)	(33,961)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	9,200	9,514
სხვა შემოსავალი	17	49
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(3,880)	(3,854)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,052)	(1,955)
სხვა ხარჯები	-	-
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	3,285	3,754
ფინანსური ხარჯები	(515)	(426)
მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან	(848)	(312)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	309	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(34)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2,197	3,016
მოგების გადასახადი	(63)	(64)
წლის მოგება/(ზარალი)	2,134	2,952
სხვა სრული შემოსავალი		
გადაფასების რეზერვი	86	275
მთლიანი სრული შემოსავალი	2,220	3,227

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2019 წლის 1 იანვარი	2 150	1 092	3 156	6 398
წლის მოგება			2 952	2 952
სხვა სრული შემოსავალი		275		275
მთლიანი სრული შემოსავალი	-	275	2 952	3 227
დივიდენდები			(2 180)	(2 180)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(2 180)	(2 180)
2019 წლის 31 დეკემბერი	2 150	1 367	3 928	7 445
წლის მოგება			2 134	2 134
სხვა სრული შემოსავალი		86		86
მთლიანი სრული შემოსავალი	-	86	2 134	2 220
დივიდენდები			(2 885)	(2 885)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(2 885)	(2 885)
2020 წლის 31 დეკემბერი	2 150	1 453	3 177	6 780

ფულადი ნაკადების ანგარიშგება:

	2020 წელი	2019 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	2,134	2 952
კორექტირებები:		-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,329	1 260
მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვები	34	-
ფინანსური ხარჯი	515	426
მოგების გადასახადის ხარჯი	63	64
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(7)	(5)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	3	-
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	848	312
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	4,919	5 009
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	792	(1 755)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	175	(549)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	196	245
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,099)	276
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,984	3 226
გადახდილი პროცენტი	(512)	(391)
გადახდილი მოგების გადასახადი	(63)	(63)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4 409	2 772
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 197)	(2 334)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	24	26
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1 173)	(2 308)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	-	-
სესხებიდან მიღებული ფული	29 983	24 502
სესხებზე გადახდილი ფული	(30 241)	(22 744)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული	(16)	-
დივიდენდები	(2 885)	(2 180)
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო (საქმიანობაში)/საქმიანობიდან	(3 159)	(422)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა/(შემცირება)	77	42
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(34)	(33)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	101	92
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	144	101

1.6.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა 14,6 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 15,7 მილიონი ლარი იყო. აქტივების შემცირება განპირობებული იყო მარაგების შემცირებით. უმეტესწილად სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამო, წვლილი შეიტანა ასევე სხვა მიმდინარე აქტივების და მარაგების ცვლილებამ (იხ. ექსელი)

გრძელვადიანი აქტივები წარმოადგენს ჯამური აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (2020: 58%, 2019: 54%), ეს განპირობებულია „კომპანიის“ სპეციფიკით, შპს „კორიდა“ საწარმოო კომპანიაა და სწორედ ამიტომ, მისი აქტივების უდიდესი ნაწილი უჭირავს ძირითად საშუალებებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ჯამური აქტივების 19%-ს შეადგენს. 2019 წელთან შედარებით მარაგების მოცულობა 6%-ით შემცირდა, თუმცა გაიზარდა წილობრივი მაჩვენებელი მიმდინარე აქტივებში:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2020	2019
ღირებულება (ათასებში)	2,843	3,019
მიმდინარე აქტივების ნაწილი	46%	41%
სრული აქტივების ნაწილი	19%	19%

მიმდინარე აქტივებში მარაგების წილობრივი ზრდა მოხდა დებიტორული დავალიანებების შემცირების ხარჯზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები 2020 წლისთვის მიმდინარე აქტივების 49%-ს (2019: 53%), ხოლო ჯამური აქტივების 21%-ს შეადგენდა (2019: 25%); „კომპანიის“ დებიტორების 29%-ს შეადგენს სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიები.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ „კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. სავაჭრო ვალდებულებები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით 42%-ით შემცირდა და მიმდინარე ვალდებულებების 46% შეადგენდა (2020: 63%). რეალიზაციის ზრდამ გამოიწვია მარკეტინგული მომსახურებების გაზრდა. მარკეტინგული მომსახურების დავალიანებების დაფარვა მოხდა ურთიერთ ჩათვლის გზით.

სავაჭრო ვალდებულებები	2020	2019
ღირებულება (ათასებში)	1,522	2,619
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	46%	63%

სესხები:

ათასი ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,716	1,466	3,067	2,740
არაუზრუნველყოფილი სესხები	34	32	1,360	1,360
მოკავშირე მხარეებისგან				
	1,750	1,498	4,427	4,100

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

კაპიტალი:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 2,150 ათასი ლარი (2019: 2,150 ათასი).

1.6.2. მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

2020 წელს, რეალიზაციამ 47.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 8%-იან ზრდას შეადგენს წინა წელთან მიმართებით; 2019 წლისთვის „კომპანიის“ გაყიდვები 43.5 მილიონი იყო.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
პირდაპირი მასალები	(22,454)	(19,862)
გასაყიდი საქონლის შესყიდვის ფასი	(10,993)	(10,031)
თანამშრომელთა კომპენსაციის ხარჯი	(1,805)	(1,468)
ცვეთის ხარჯი	(914)	(860)
კომუნალური ხარჯები	(671)	(712)
დამატებითი მასალები	(540)	(445)
სხვა	(591)	(583)
	(37,968)	(33,961)

„კომპანიის“ მომწოდებლები ნედლეულის მნიშვნელოვან ნაწილს ყიდულობენ უცხოურ ბაზარზე, სწორედ აქედან გამომდინარე წინა წელს გამოწვეულმა უცხოური ვალუტის ცვლილებებმა და შესყიდვის ბაზარზე ფასების ზრდამ გარკვეული გავლენა მოახდინა საერთო მოგების მარჟაზე, თუმცა, მიმდინარე წელს, ფასების ნაწილში, დადებითი სტატისტიკა არ აღინიშნა, რაც ასახულია 2020 წლის საერთო მოგების მარჟაზე.

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:

ათასი ლარი	2020 წელი	2019 წელი
სულ შემოსავალი	47,168	43,475
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(37,968)	(33,961)
საერთო მოგება	9,200	9,514
სხვა შემოსავალი	17	49
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	(3,880)	(3,854)
ადმინისტრაციული ხარჯი	(2,052)	(1,955)
სხვა ხარჯი	-	-
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	3,285	3,754
<i>საოპერაციო მოგების მარჟა</i>	<i>6.96%</i>	<i>8.63%</i>

„კომპანიის“ საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილების დინამიკა:

- ბაზარზე გაზრდილი კონკურენციის პირობებში, 2020 წელს შეიცვალა ძირითადი მყიდველებისთვის მარკეტინგული ხარჯების (ე. წ. რეტრო ბონუსები) ანაზღაურების პოლიტიკა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარჯის ზრდა;
- ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2019 წელს 1,9 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს 2,0 მილიონამდე გაიზარდა.

1.7. ფინანსური რისკების მართვა

1.7.1. საბაზრო რისკი

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომელიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან.

„კომპანიის“ სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკუროს სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია „კომპანიის“ სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს „კომპანიის“ სავალუტო რისკს, განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები არის ის თანხები, რომლებიც წარედგინება

ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

2020 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	3,855
სავაჭრო ვალდებულებები	-	24
	-	3,879
წმინდა პოზიცია	-	(3,879)
2019 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	3233
სავაჭრო ვალდებულებები	-	2
	0	3,235
წმინდა პოზიცია	0	(3,235)

საანგარიშგებო პერიოდში „კორიდა“ არ ახდენდა უცხოური ვალუტის რისკების ჰეჯირებას. შემდეგ ცხრილში მოცემულია ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის თეორიული 20%-ანი გამყარების შედეგი „კომპანიის“ მოგება-ზარალზე. მაგალითი საილუსტრაციოა, რადგან რეალური შედეგი დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე და ნაშთებზე:

ათას ლარში	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2020	2019	2020	2019
მოგება/ზარალი	-	-	776	485

ვალუტის კურსის ზრდის შემთხვევაში, კომპანიას გაეზრდება ნედლეულის ფასები, შესაბამისად ერთი თვის ვადაში კომპანია შეძლებს სარეალიზაციო ფასების ზრდას.

1.7.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც „კომპანია“ მიიღებს ფინანსურ ზარალს. ამ რისკის ეფექტი წარმოიქმნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისაგან, მაგალითად მოთხოვნებისაგან.

„კომპანიისთვის“ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 053	3 847
საბანკო ანგარიშები	137	94
	3 190	3 941

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რისკის შეფასებას კომპანია ყოველთვიურად ახდენს დებიტორების მიერ თვის განმავლობაში დაფარული დავალიანებების რაოდენობის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

1.7.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები.

„კომპანია“ ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდურობის აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლეს თარიღზე, როდესაც შეიძლება „კომპანიის“ მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება.

ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირითად თანხას, ასევე პროცენტს:

2020	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		11.16%	8.7%	12.9%	
6 თვეზე ნაკლები	1 237	23	1 496	113	2 869
6 თვიდან 1 წლამდე		23	475	85	583
1-5 წლამდე		154	3 457	1 502	5 113
5 წელზე მეტი			-	-	-
	1 237	200	5 428	1 700	8 565

2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		-	-	9.14%	
6 თვეზე ნაკლები	2 365	-	-	1 389	3 754
6 თვიდან 1 წლამდე		-	-	423	423
1-5 წლამდე		-	-	4 431	4 431
5 წელზე მეტი		-	-	425	425
	2 365	-	-	6 668	9 033

1.7.4. კაპიტალის რისკის მართვა

„კომპანია“ ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

„კომპანიის“ კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან.

„კომპანიის“ მენეჯმენტი აფასებს „კომპანიის“ კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. „კომპანია“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით.

თანხები, რომლებსაც „კომპანია“ კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	6,780	7,445
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(144)	(101)
კაპიტალი	6,636	7,344
მთლიანი კაპიტალი	6,780	7,445
სესხები	6,177	5,598
საიჯარო ვალდებულებები	156	-
სრული ფინანსირება	13,113	13,043
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.51	0.56

წარმომადგენლობა

თარიღი

20 აგვისტო 2021 წელი

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორიდა“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

რევაზ წარმანია



დირექტორი

შპს „კორიდა“

